# მეცნიერ-ეკონომისთა წრეს კიდევ ერთი დოქტორი შეემატა

მიმდინარე წლის 19 მაისს გაიმართა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომა, რომელზეც ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომი დაიცვა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა **თეიმურაზ ფარცხალაძემ.**

სადისერტაციო ნაშრომის სათაურია: **აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის სრულყოფის მიმართულებები.**

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელია **იური პაპასქუა** - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

დისერტაციის დაცვისას, ექსპერტებმა: **ნანული ძიმცეიშვილმა და ნიკოლოზ ბაკაშვილმა,** რეცენზენტებმა: **დავით ჯალაღონიამ** და **ლევან გრიგალაშვილმა** აღნიშნეს ნაშრომის აქტუალობა, კვლევის მაღალი დონე, ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სადისერტაციო კვლევისთვის არჩეული იყო თემა, რომელიც ერთ-ერთი აქტუალური და პროფესიული საქმიანობის სანდოობის ამაღლებისთვის უმთავრესი წინაპირობა - აუდიტორული მომსახურების ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის აუცილებელი ინსტრუმენტია, რაც დისერტანტმა ბრწყინვალედ დაძლია.

სხდომის დასასრულს აწუკვე წარმატებული მეცნიერის მიმართ, მისალოცი და ღვაწლის აღმნიშვნელი სიტყვები წარმოთქვეს პროფესორებმა: **დავით ჯალაღონიამ, ირმა დიხამინჯიამ, ზურაბ ლიპარტიამ.**

**თეიმურაზ ფარცხალაძე** მაღალი კლასის პროფესიონალია ამჟამად ხელმძღვანელობს საერთაშორისო აუდიტორული კომპანიის ქართულ წარმომადგენლობას (Crowe GE LLC); არის საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე, გამგეობის წევრი. ასევე, ის გახლავთ საქართველოს დამოუკიდებელ შემფასებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი. სერტიფიცირებული აუდიტორი და ასევე ბიზნესის და უძრავი ქონების სერტიფიცირებული შემფასებელი.

თეიმურაზ ფარცხალაძე ლექციებს კითხულობდა და კითხულობს სხვადასხვა უნივერსიტეტში. მისი კვლევის ინტერესებია: აუდიტორული საქმიანობის განვითარება საქართველოში, აუდიტის ხარისხის კონტრილი, ბიზნესის შეფასებების თავისებურებანი საქართველოში.

თეიმურაზ ფარცხალაძის სახით ეკონომიკურ მეცნიერებას კარგი მკვლევარი, გამოცდილი სპეციალისტი და პროფესიონალი შეემატა.

ჟურნალის რედაქცია ულოცავს თეიმურაზ ფარცხალაძეს ამ დიდ აღიარებას.

ჟურნალის რედაქცია